ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 280

გამარტივებული შესყიდვა

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად)

დაფინანსების წყარო 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ქ. თბილისი "6" აპრილი 2016 წ.

სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ #4, ტელ: 2436999, საბანკო რეკვიზიტები: ანგ.N GE24NB033010020016502 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, სკ-204578206), შემდგომში წოდებული "შემსყიდველად", წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის **გიორგი ჩოგოვაძის** სახით და **შპს „ორიენტ ლოჯიკი"** (ს.კ.202052054 მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. # 91ა, საბანკო რეკვიზიტები: ანგ.#GE54TB0600000010467147, სს "თიბისი ბანკი" ბ/კ TBCBGE22) შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის **ალან სანაკოევის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც "მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული პრინტერის hp laserjet 1102
(საინვენტარიზაციო ნომერი: 2105;) შეკეთების მომსახურება
(CPV50323200)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **35.00** (ოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელი, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.4. მომსახურების გაწევის ბოლო ვადაა: **2016 წლის 15 აპრილი.**

3.5. მომსახურების გაწევის ადგილია: თბილისი, ბელიაშვილის ქ. # 8.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შემსყიდველის ბალანსზე რიცხული 1 პრინტერის შეკეთება და ექსპლუატაციისათვის ვარგის მდგომარეობაში აღდგენა წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი #1** შესაბამისად.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2. **ინსპექტირებას განახორციელებს: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ადმინისტრაციული სამმართველოს სპეციალისტი იური ამბარცუმიანი.**

6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზიანი მომასხურება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობით დადგენილ ვადაში გამოასწოროს ხარვეზი ან თუ ხარვეზის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4. თუ ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის გასწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ ხარვეზის გამოსწორება, ხოლო ხარვეზის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2. **მომსახურების მიღებას აწარმოებს: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი სალომე იმნაძე.**

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოფხვრისათვის შეტყობინებით დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.3. თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, მეორე - მიმწოდებელს.

17 .მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია **მისამართი:** ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4 **ტელეფონი:** 2436999 **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ.N GE24NB033010020016502 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22 **სკ-**204578206	**მიმწოდებელი** **შპს „ორიენტ ლოჯიკი"** **მისამართი:** ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. # 91ა **ტელეფონი:** 2 54 18 18 **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თიბისი ბანკი" მარჯ. ფ., ბ/კ TBCBGE22 ა/ნ GE54TB0600000010467147 **ს/კ** 202052054
ხელმძღვანელი	კომერციული დირექტორი
გიორგი ჩოგოვაძე	ალან სანაკოევი

დანართი #1

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა	ერთ. ღირებულება	სულ ფასი
1	პრინტერის (hp laserjet 1102; საინვენტარიზაციო ნომერი: 2105) შეკეთება	1 ცალი	35.00 ლ	35.00 ლ
			სულ:	35.00 ლარი

შემსყიდველი

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4
ტელეფონი: 2436999
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.N GE24NB033010020016502
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22
სკ-204578206

მიმწოდებელი

მიმწოდებელი
შპს „ორიენტ ლოჯიკი"
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. # 91ა
ტელეფონი: 2 54 18 18
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი" მარჯ. ფ., ბ/კ TBCBGE22 ა/ნ GE54TB0600000010467147
ს/კ 202052054

ხელმძღვანელი

გიორგი ჩოგოვაძე

კომერციული დირექტორი

ალან სანაკოევი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
0238176466941 5

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N150127065

რეგისტრაციის თარიღი

10.02.2015 წ

ნოტარიუსი: ინგელა მანია
მისამართი: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
ტელეფონი: 5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე +995(32) 2 66 19 18

მ ო ნ ო ბ ო ლ ო ბ ა

ორმაგის ინვენტარი წელის ორ ეიერეულის შუ. *კაკა ნასყიდობა*, *ნოდარ*, *შპს "ორიენტ ლოგიკი"*-ს დირექტორი, მ.ბილიანში, ამ მიმდინარეობაში წოდებული *ნოდარ* "მიწიდან ამინ", *ამ მიმდინარეობით* უფლებამოსილების *ვანაგ ალან ბასიანის (დან. 01.10.1966 წ. თბილისში, პ.№ 01030005126 რეგ. მისამართზე: ქ. თბილისი, ფ. ალმაშენებლის გამ. №83/2ბ)* მეშვეობით - "მიმდინარე ამინ".

ეფის მეში, *ნოდარ* **შპს "ORIENT LOGIC"-ის** დირექტორის წარმომადგენელი, ისარგებლის ეფლი ამ უფლებით, *რაც* მინიჭებული აქვს ხაზოგადოების დირექტორს კანონით და ხაზოგადოების წესდებით *და* ინარმოის ხაზოგადოების *მართვასთან* *დაკავშირებული* ყველა *მოქმედება*. *ამასთან* ეფის ნება წარმომადგენელი ხელმოწერილ ორგანში, *კომერციულ* *და* ხაზოგადოებრივ ორგანიზაციაში, ფიზიკურ *და* იურიდიულ *პირებთან* ურთიერთობაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნებისმიერ სამსახურში. *მათ* შორის შემოსავლების სამსახურში, ეროვნული ბიბლიოთეკა ფიზიკურ *და* იურიდიულ *პირებთან*, *ფიზიკურ* *მიოთ* *კანონი* *გათვალისწინებული* ყველა სახის ანგარიშ. დირექტორის *ეფლებისა* ფარგლებში, ნებისმიერ *ბანკში* *ანგარიშის* *ანგარიშებზე* *ნებისმიერ*

[illegible] ... ბინადრობის ... [illegible] ... ბინადრობის ... [illegible] ... ბინადრობის ... [

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული პრინტერის შეკეთების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვით დადებულ 2016 წლის 6 აპრილის N280 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელმძღვანელი	გიორგი ჩოგოვაძე
მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი პირი	სალომე იმნაძე
ინსპექტირების განმახორციელებელი პირი	იური ამბარცუმიანი